

მთა-ტყე-მდელოს - Bergwaldwiesenböden

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგებს უკავიათ 132,0 კმ, რაც ქვეყნის ფართობის 0,2 % შეადგენს. ფართოდ არის გავრცელებული კავკასიონისა და ამიერკავკასიის სამხრეთ მთიანეთის სუბალპურ ზონაში ზღვის დონიდან 1800 (2000) მეტრიდან-2000(2200) მეტრამდე. ეს ნიადაგები ესაზღვრება მთა-მდელოს ნიადაგებსა და ყომრალებს. ხასიათდება არადიფერენცირებული პროფილით, მაღალი და ღრმა ჰუმუსირებით, მცირე და საშუალო სიმძლავრით, ძლიერი გამოტუტვით.

ნიადაგურ პროფილს ჩვეულებრივ შემდეგი აგებულება აქვს: Ao-Aტ-B-BC ან Ao-AB-BC ან Ao-A-AB-CD. ნიადაგი ხასიათდება მუავე რეაქციით, ჰუმუსის მაღალი შემცველობით და ღრმა ჰუმუსირებით, ჰიგროსკოპული წყლის მაღალი შემცველობით, მოცულობითი წონით 1,11-1,21 ფარგლებში, თიხნარი ან თიხა მექანიკური შედგენილობით, შთანქმის საშუალო ტევადობით, არამაძვრებით. ნიადაგები მდიდარია (0-10) და ღარიბია (10-20) ჰიდროლიზებადი აზოტით, მდიდარია შთანქმული ფოსფორით და ღარიბია გაცვლითი კალიუმით. მცენარეული საფარის დარღვევის შემთხვევაში იზრდება ეროზიული პროცესების საშიშროება.

Bergwaldwiesenböden findet man auf 132,0 qkm, das sind 0.2% des Gesamtterritoriums. Sie sind häufig verbreitet in der subalpinen Zone im Südtteil von Georgien zwischen 1800 m und 2200 m. Diese Böden sind entstanden aus Bergwiesenböden und braunen Waldböden. Sie sind charakterisiert durch ein nicht sehr differenziertes Profil, einen hohen Gehalt an Humus und einen großen Humushorizont, geringe oder mäßige Profiltiefe, stark ausgewaschen. Der Boden hat folgenden Aufbau: Ao-At-B-BC oder A0-AB BC oder A0-AB-CD. Der Boden ist charakterisiert durch eine saure Reaktion, einen hohen Gehalt an Humus, einen hohen Gehalt an hygroskopischem Wasser und eine Lagerungsdichte zwischen 1,11-1,21g/ccm sowie eine lehmig bis tonige Textur, eine mittlere Absorptionskapazität, ungesättigt. Die Böden sind reich (0-10cm) und mittel (10-20cm) versorgt mit hydrolisierbarem Stickstoff, sind reichlich versorgt mit mobilem Phosphor und arm an austauschbarem Kalium. Im Falle der Schädigung der Vegetationsdecke kommt es zu einer Zunahme der Erosion.

